



**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო**



განკარგულება:გ-49.49220703

თარიღი:11/03/2022

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 28**

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკში მდებარე , ადმინისტრაციული შენობის (ს/კ 29.10.37.366) მეორე სართულზე განთავსებული 12.96 კვ.მ. ( ერთი ოთახი) ფართის სამსახურეობრივი საჭიროებიდან გამომდინარე ოფისის განსათავსებლად, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით ,იჯარის უფლებით 5 (ხუთი) წლის ვადით, გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 4 მარტის №48-482206354 წერილი რომელშიც ითხოვს თანხმობას წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკში მდებარე, ადმინისტრაციული შენობის (ს/კ 29.10.37.366) მეორე სართულზე განთავსებული 12.96 კვ.მ. ( ერთი ოთახი) ფართის სამსახურეობრივი საჭიროებიდან გამომდინარე ოფისის განსათავსებლად, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის უფლებით 5 (ხუთი) წლის ვადით, გადაცემის შესახებ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 122-ე მუხლის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკში მდებარე, ადმინისტრაციული შენობის (ს/კ 29.10.37.366) მეორე სართულზე განთავსებული 12.96 კვ.მ. ( ერთი ოთახი) ფართის სამსახურეობრივი საჭიროებიდან გამომდინარე ოფისის განსათავსებლად, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით,იჯარის უფლებით 5 (ხუთი) წლის ვადით, გადაცემის შესახებ.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, გუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-  
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

